THE "PILGRIMAGE " OF THE DECEASED SOULS TO THE WORLD OF HUMANS – AN EXAMPLE OF DEALING WITH TRAUMA OF DEATH IN GEORGIAN TRADITION

მიცვალებულთა "მომლოცველობა" საიქიოდან სააქაოში – სიკვდილის ტრავმასთან ბრძოლის მაგალითი ქართულ ხალხურ ტრადიციაში

NINO GHAMBASHIDZE
PHD in History
ORCID: 0000-0001-9029-875X
nino_gambashidze1955@yahoo.com
+995 593 57 30 75

Abstract

The purpose of my article is to show, on the one hand, what kind of festivals Lipanaali and Jerusalemtoba-Sultakrepa are, and on the other hand, what were the traditional Georgia ways of dealing with the trauma of death.

Study showed that both holidays are syncretic in nature. By their Christian stratum, they are associated with Easter and its theological meaning.

As it is known, one of the main human feelings is the fear of death. Being in touch with departed souls, having a connection with them and feeling their presence has a deep psychological background. Traditions and religious structures in society enable individual control and manage anxiety through well-established mechanisms. When significant changes take place in society, these mechanisms begin to diminish and collapse.

In my opinion, these changes often severely affect structures formed over the centuries, or severely damage them, so that they cannot positively affect the collective psychological balance. Therefore, the tradition should not be destroyed, but developed, adapted to the new requirements of society and transformed into something new that society needs.

The strong instinct of birth-death-rebirth desperately pushes a person to reunite death with life and find life in death, conditioned by love. With the help of the holidays of "pilgrimage", the call of God and transcendental forces, with the help of mythical images, man tried to open the doors and destroy insurmountable, "delimited" threshold for creating a single entire space of eternal life. In my opinion, to create the third, as according to Jung, is a result of union of opposites.

The study was conducted on the basis of ethnographic materials, ethnological and psychological scientific literature and is an interdisciplinary study.

Key words: Trauma of death, tradition, religion, ethnology, psychology

ნინო ღამბაშიძე
ისტორიის დოქტორი
ORCID: 0000-0001-9029-875X
nino_gambashidze1955@yahoo.com
+995 593 57 30 75

აბსტრაქტი

ჩვენი ნაშრომის მიზანია ვაჩვენოთ, ერთი მხრივ, რა ხასიათის დღესასწაულებია *ლიფანااალი* და *იერუმსალეთობა-სულთაკრეფა,* ხოლო მეორე მხრივ, როგორი იყო ქართული ტრადიციული გზები სიკვდილის ტრავმასთან გამკლავების.

ორივე ხალხური დღესასწაული სინკრეტული ხასიათისაა. ისინი თავიანთი ქრისტიანული ფენით აღდგომის დღესასწაულს და მის არსს უკავშირდებიან.

როგორც ცნობილია, სიკვდილის შიში ერთ-ერთი ფუნდამენტური განცდაა ადამიანში. ცოცხალთა სწრაფვას ეურთიერთათ მიცვალებულებთან და მეტად მიახლოვებოდნენ და შეეგრძნოთ ეს კავშირები, ღრმად ფსიქოლოგიური მნიშვნელობა და საფუძვლებიც აქვს. ტრადიცია და საზგადოებაში არსებული სარწმუნოებრივი სტრუქტურები ინდივიდს შესაძლებლობას აძლევს კარგად გამოცდილი მექანიზმების მოშველიებით მართოს შფოთი. როდესაც საზოგადოებაში ძლიერი ცვლილებებია, ამგვარი მექანიზმები რღვევას განიცდის. ჩვენი აზრით, ეს ცვლილებები ხშირად უხეშად უსწორდება ხანგრძლივი დროის განმავლობაში შექმნილ სტრუქტურებს ან საგრძნობლად აზიანებს მათ, ისე, რომ ისინი ვეღარ თამაშობენ პოზიტიურ როლს კოლექტიური ფსიქიკური წონასწორობის შენარჩუნების საქმეში. სწორედ ამიტომაა, რომ ტრადიცია კი არ უნდა მოისპოს, არამედ საზოგდოების ახალ მოთხოვნილებებთან ერთად განვითარდეს თუ გადაიზარდოს რაღაც ახალში, იმაში, რაც საზოგადოებას სჭირდება.

დაბადება-კვდომა-კვლავგანახლების ძლიერი ინსტიტნქტი თუ მუხტი დაუოკებლად უბიძგებდა ადამიანს მარადიული სიცოცხლისათვის გაეერთიანებინა სიკვდილ-სიცოცხლე და სიკვდილშიც სიყვარულით განპირობებული სიცოცხე ეძებნა. „პილიგრიმობის“ დღესასწაულებით, ღმერთის, ტრანსცენდენტული ძალების მოხმობით, მითოსური ხატების მეშვეობით, ადამიანი ცდილობდა გაეხსნა კარები და გადაულახავი, გამყოფი ზღურბლის ნაცვლად, მარადიული სიცოცხლის ერთიანი სივრცე შეექმნა. ჩემი აზრით, შეექმნა ის მესამე, რომელიც იუნგისეული დაპირისპირებულთა ერთიანობის შედეგად იქმნება.

კვლევა ეთნოგრაფიულ მასალაზე, სამეცნიერო ეთნოლოგიურ და ფსიქოლოგიურ ლიტერატურაზე დაყრდნობით განხორციელდა და არის ინტერდისციპლინარული ხასიათის.

საძიებო სიტყვები: სიკვდილის ტრამვა, ტრადიცია, რელიგია, ეთნოლოგია, ფსიქოლოგია

შესავალი

სიკვდილი ერთ–ერთი ყველაზე ტრამვული გამოცდილებაა კაცობრიობის ისტორიაში; ადამიანის ცხოვრების, სამყაროში არსებულ ცოცხალ არსებათა თანმდევი და გარდაუვალი გამოცდილება; იმთავითვე ჩადებული ადამიანის დაბადებაში, რომლის წინაშე შიში ინსტინქტურ დონეზეა ცოცხალ არსებაში მოცემული და რომლის დაძლევა, ალბათ, გარკვეულ წილად მეორე ინსტინქტით–კვლავ დაბადებით, სიცოცხლის კვლავ გაჩენითაა შესაძლებელი, რაც ასევე, სამყაროს არსებობის უცვლელი კანონია. ალბათ ამიტომაცაა, რომ საკუთარი და ახლობელი ადამიანების სიკვდილის გარდუვალობის წინაშე, ფაქტობრივად, ერთი საშუალება არსებობდა – მარადიული სიცოცხლის ძიება და კვლავ დაბადება. ჩვენს სტატიაში შევეცდებით ვაჩვენოთ, რა ტრადიციების თუ მსოფლმხედველობის მეშვეობით ცდილობდა ქართველი მარადიული სიცოცხლის მოპოვებას და სიკვდილით გამოწვეულ ტრავმასთნ ბრძოლას, მეორე მხრივ კი, რა ფსიქოლოგიურ გავლენას ახდენდა ის ინდივიდსა და კოლექტივზე.

მეთოდი

წინამდებარე კველვა ინტერდისციპლინარული ხასიათიაა. არსებული ეთნოგრაფიული მასალის ანალიზის საფუძველზე მიღებულია დასკვნები განსახილველი ხალხური დღესასწაულების შესახებ, განხილულია მათი თეოლოგიური და ფსიქოლოგიური მნიშვნელობა. კვლევისას, ეთნოლოგიურ, თეოლოგიურ და ფსიქოლოგიურ ლიტერატურასთნ ერთად გარკვეულ წილად, გამოყენებულია ვიზუალური ათროპოლოგიის ნიმუში.

შედეგი

კვლევამ აჩვენა, რომ თუშური ხალხური დღესასწაული *იერუმსალეთობა-სულთაკრება*, მიცვალებულებისათვის განკუთვნილი სამი დღისაგან შემდგარი ერთი დღესასწაულია, რომელიც მჭიდრო კავშირს ავლენს ასეთივე ხასაითის სვანურ დღესასწაულ *ლიფანაალთან.* ორივე ეს დღესასწაული მკვდრეთით აღდგომის იდეას უკავშრდება და მონაწილეს გარკვეულწილად განაცდევინებს მარადიული სიცოცხლის არსებობას და თავიანთ გარდაცვლილ ახლობლებთან სიახლოვეს, რაც, საბოლოო ჯამში, ამსუბუქებს შიშს გარდაუვალი სიკვდილის წინაშე და ახლობლის სიკვდილით გამოწვეული ტრავმისა და მონატრების სიმძაფრეს

მსჯელობა

როგორც მთელი მსოფლიოს ხალხთა მითოლოგიურ აზროვნებაში, ქართველებისთვისაც ახალი წელი სამყაროს შესაქმის, სამყაროს არსებობის დასაწყისის რიტუალურ –მსოფლმხედველობრივი გააზრება უნდა იყოს. ასეთ გააზრებას საფუძვლად დაედო რწმენა იმის შესახებ, რომ სიკვდილი (მკვდარი ბუნების სახით) ჩიხში ამწყვდევს განვითარებისა და არსებობის საკითხს. ამდენად, საჭიროა იმ უზენაესი არსების ჩარევა, რომელმაც დასაბამი მისცა ყოველივეს. ეს დასაბამი შესაქმის აქტიდან დაიწყო. მან მკვდარ, ქაოსურ ბუნებას სიცოცხლე უნდა შთაბეროს და მოწესრიგებულ კოსმოსად აქციოს, რასაც კვლავ ქაოსი უნდა მოჰყვეს. ამიტომ, სიკვდილი სიცოცხლეც არის და სიცოცხლე სიკვდილიც. ისინი წრის ერთი წერტილია, რომელშიც მთავრდება და იმავდროულად იბადება, იწყება დრო, ქმედება, არსებობა. ასევეა ახალწლის დღეობათა ციკლი, რომელიც სიცოცხლის სიკვდილზე გამარჯვებაა და სიკვდილი სიცოცხლისათვის. რატომ უწოდა ქართველმა დღესასწაულს სასწაულის დღე? რა სასწაული ხდება ამ დღეს? ჩვენი აზრით, ამ დღეს მითოლოგიურად სამი სკნელის კარი იღება და სამივე სამყაროს მკვიდრნი ერთიანად აღნიშავენ მოცემულ სულიერ მოვლენას.

ლიფაანალი ზემო სვანეთში 5/18[1] იანვრიდან პირველი კვირა დღის მომდევნო ორშაბათამდე იმართებოდა, ქვემო სვანეთში კი ბოსლობას, გაზაფხულზე. ხალხის რწმენით, ამ დღეს ოჯახში გარდაცვლილთა სულები სტუმრად მოდიოდნენ. ლიფაანალისთვის ოჯახი წყალში (შესაძლოა ნაკურთხ წყალში) გახსნილი პურის ფქვილით ან ნახშირით ყველგან – ჭურჭელზე, კედლებზე, ავეჯზე ხატავდა სვადასხვა ფიგურას, საგნებს, მნათობებს, ასევე ჯვრებს თუ სხვა გამოსახულებებს. მათ ზოგან ლიფაანალის პირველ დღეს ანუ *ადგომს* (5/18 იანვარს) ხატავდნენ, ზოგან მეორე დღეს, ნათლისღებას. წყალში გახსნილ ნახშირში ან ფქვილში ამოუსვამდნენ თითს და ამ თითით ხატავდნენ. ნახატებს ოჯახის უფროსი ქალი ან ქალები ხატავდნენ. თუ ოჯახში უფროსი, ხანდაზმული ქალი არ იყო, ამ საქმეს ოჯახის მახვში აკეთებდა. თუ არც ის ჰყავდათ, უფროსი ქალიშვილი. მოგვიანებით ნახატებს ცარცით ბავშვებიც ხატავდნენ. დანაყილი, წყალში გახნილი ნახშირით ქალები ოჯახის ყველა წევრს ხელებზე და სახეზე წერტილებსა და ჯვრებს უკეთებდნენ. ოჯახის უფროსი ქალი ასევე ცვილისა და ახლად ამოყვანილი ყველისგან ბაციკებს – ცხოველების რიტუალურ ფიგურებს ძერწავდა, აცხობდა რიტუალურ პურებს. სვანების შეხედულებით ამგვარი სალიფაანალო ნახატები ოჯახში სტუმრად მოსული სულების გასართობად იხატებოდა. ზოგის თქმით, ისინი მიცვალებულებისთვის სასარგებლო იყო, ზოგიც კი ამბობდა, რომ ეს ნახატები ამქვეყნად დარჩენილი საქონლის და საოჯახო ქონების გასამრავლებლად კეთდებოდა.

ადგომს ანუ *აღდგომას* ამ დღეს იმიტომ უწოდებდნენ, რომ სვანების რწმენით ლიფაანალზე მიცვალებულები აღდგომის მსგავსად საფლავებიდან აღდგებოდნენ და თავიანთ სახლებში მიდიოდნენ სტუმრად. საეკლესიო კალენდრის მსგავსად სვანებიც ამ დღეს, ანუ 5/18 იანვარს, მძიმე მარხვას ინახავდნენ. ვახშმობამდე მიცვალებულებისთვის სამარხვო სუფრას შლიდნენ, რომელზედაც სანთლებს ანთებდნენ. ოჯახის უფროსი და მთელი ოჯახი, სუფრასთან იდგნენ. უფროსი ოჯახის ყველა გარდაცვლილს სახელობით ჩამოთვლიდა, ღმერთს მათ შენდობას, მიცვალებულებს კი ოჯახში კარგი კვალის, ბედნიერების შეტანას სთხოვდა. სთხოვდა, რომ ოჯახიდან არავინ წაეყვანათ. სამაგიეროდ, მომავალ წელს უფრო უხვ სუფრას ჰპირდებოდა. ამის შემდეგ, ოჯახის უფროსთან ერთად იჩოქებდა მთელი ოჯახი და ღმერთს სთხოვდა მათი მიცვალებულებისთვის ცოდვები შეენდო. მეორე დღეს იკვლებოდა საკლავი. სუფრა, მთელი ლიფაანალის განმავლობაში, ყოველდღე საუზმის და ვახშმის წინ უნდა ეკურთხათ. მიცვალებულების გაცილების დღეს, ორშაბათს, მთელი ოჯახი დილით ადრე, გათენებამდე დგებოდა. ქალები ხორბლის ფქვილისაგან სხადასხვა ფორმის, ზომის და დანიშნულების პურებს აცხობდნენ. იშლებოდა სუფრა, რომელზეც სხვა საჭმელთან ერთად ხსენებული რიტუალური პურები, სასმელი და სანთლები იყო. ოჯახის წევრები მაგიდიდან მოშორებით დგებოდნენ, ოჯახის უფროსი კი მათ წინ. ამ დროს, სამარისებური სიჩუმე იდგა. ხალხს სწამდა, რომ მაგიდასთან მათი მიცვალებულების სულები ისხდნენ. სიჩუმეს მხოლოდ ოჯახის უფროსი არღვევდა, რომელიც მიმართავდა სულებს და ეუბნებოდა, რომ მათ არ აჩქარებდა და სთხოვდა, ოჯახისთვის სიუხვე, ბარაქა, ჯანმრთელობა არ მოეკლოთ, რომ სიკეთით დაბრუნებულიყვნენ ისევ მომდევნო წელს. თავის მხრივ კი პირდებოდა, რომ სააქაოს მყოფები შესთხოვდნენ იესო ქრისტეს თავის ტრაპეზზე მათთვისაც მიეჩინა ადგილი. ოჯახის უფროსი, ოჯახთან ერთად, ახლობელი და შორეული ნათესავებისთვის ლოცულობდა. ამის შემდეგ, ოჯახის უფროსი იღებდა მაგიდას, შუა ოთახში დგამდა და მიცვალებულებს იმ ქვეყნად დაბრუნებას სთხოვდა, ქრისტეს კი ევედრებოდა, არ დაესაჯა ოჯახი, არ წაეყვანა ოჯახის წევრი სააქაოდან, თან პირობას დებდა, მომავალ წელს ოჯახს უფრო გულუხვად ემასპინძლა. ბოლოს ოჯახის უფროსს მაგიდა ფეხაკრეფით გაჰქონდა გარეთ. მას ოჯახის სხვა რომელიმე წევრი წინ მიუძღოდა და გზას უნათებდა. ისეც ხდებოდა, რომ გზაზე მიმავალ მამაკაცს რიტუალური საკვები და სანთელი ეკავა ხელში. გზადაგზა იგი თაფლიან რძეს ასხამდა მიწაზე და ცალ მუხლზე იჩოქებდა. ხალხის რწმენით, სულები ამგვარად ბრუნდებოდნენ თავიანთ სამყოფელში. სულები მზის ამოსვლამდე უნდა გაეცილებინათ (ბარდაველიძე,1953:59–64; Бардавелидзе, 2007: 105–106;

[1] ეს ორი თარიღი კალენდრის ძველ და ახალ სტილს აღნიშნავს. ფაქტობრივად პირველი თარიღი საერო კალენდრის მიხედვითაა, ხოლო მეორე საეკლესიოსი. მათ შორის 13 დღიანი სხვაობაა.

ღამბაშიძე, 2011:170–171). *ლიფაანალზე* მიცვალებულების ოჯახში მყოფობის განცდა ისეთი ძლიერი იყო, რომ მათთან განშორება სააქაოს მყოფებს ხშიად უძნელდებოდათ ხოლმე. ხალხი იმასაც ჰყვება, რომ გადმოცემის მიხედვით, ადრე ცოცხლები ოჯახში მოსულ მიცვალებულებს ხედავდნენ კიდეც. ერთხელაც, დედას გარდაცვლილი შვილის სულისთვის `ხელი წაუვლია~, რომ სააქაოს დაეტოვებია. მას მერე, სულები ცოცხლებს აღარ ეცხადებიანო, ამბობს ხალხი.

ხალხის რწმენით სული და ღმერთი ერთია და სულს ისე უნდა ეთაყვანო, როგორც ღმერთს (https://www.youtube.com/watch?v=x6teHhJtd8I, retrieved in 09.01.2018).

მსგავსი დღესასწაული ქართული ხალხური კალენდრის საგაზაფხულო ციკლშიც გვხვდება. დიდმარხვის მეორე ხუთშაბათს, თუშეთში მიცვალებულთა მოსახსენებელი დღე – *ერუმსალეთობა* იმართებოდა (ცოცანიძე, 1987: 88; ბოჭორიძე, 1993: 307-308; მაკალათია, 1983: 187-188).

ამ დღეს, თუშეთში, მზის ამოსვლამდე, ყველა ოჯახში კეცზე დიდ პურს გამოაცხობდნენ, ბიჭონს (ბატიბუტს) დაატყრობდნენ ანუ მარცვალს მოხალავდნენ, ლობიოს მოამზადებდნენ, სანთლებს აანთებდნენ და სუფრაზე ერთ ლიტრ არაყს დადგამდნენ. სასმელით მიცვალებულის სულებს მოიხსენიებდნენ. ამ დღის პურს *ერუმსალეთობის პურს* ეძახდნენ. ხალხის რწმენით, იგი რაც შეიძლება დიდი უნდა ყოფილიყო, რადგან იერუსალიმში უნდა გაგორებულიყო და იერუსალიმის კარი შეეღო. ერთის მხრივ, იგი `მიცვალებულებს უნდა მისვლოდა~, ხოლო მეორეს მხრივ, მისი მეშვეობით გარდაცვლილთა სულებს სულთაკრეფისთვის თავიანთ ოჯახებში მისვლა და შეკრება უნდა შეძლებოდათ. `მკვდარნი სამზეოს გამოხედავენო~ და `მკვდარნი ერუმსალეთიდან მოდინავო~ (ბოჭორიძე, 1993:307).

ერუმსალეთობის დილას, მზის ამოსვლამდე, ოჯახის უფროსი ბიჭონს და გამომცხვარ პურს კერის გარშემო სამჯერ შემოატარებდა და ილოცებდა მიცვალლებულთა სახლში დაბრუნების, იერუსალიმიდან სახლამდე მშვიდობით მოსვლისთვის. მზის ამოსვლის შემდეგ სუფრას გარეთ გადგამდნენ, პურს დაჭრიდნენ და ყველას დაურიგებდნენ. სხვა მასალის მიხედვით ერუმსალეთობის პურს ოჯახი ორად გაჭრიდა. ამ პურის ერთ ნახევარს ამავე დღეს შეჭამდნენ, ხოლო მეორეს სულთაკრეფისთვის ინახავდნენ. ხოლო ისინი, ვისაც ახალი მიცვალებული ჰყავდა, ერუმსალეთობის პურს პატარა ნაჭრებად დაჭრიდა და ერთ ჯამ ბიჭონთან ერთად მეზობლებში დაარიგებდა (ცოცანიძე, 1987:88).

იმავე კვირის შაბათს სულთაკრეფა მიცვალებულთა სულების მოსახსენებელი ერთ-ერთი უდიდესი და უმნიშვნელოვანესი დღე იყო არა მარტო თუშეთში, არამედ აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის სხვა კუთხეებშიც. ვინაიდან დღესასწაული დიდმარხვაში იყო, სულთაკრეფას ყველა ოჯახში მხოლოდ სამარხვო საჭმელი მზადდებოდა.

დალი გიორგაძე, რომელმაც აღმოსავლეთ საქართველოში სულთაკრეფის დღესასწაული შეისწავლა, დიდ მსგავსებას ხედავს სულთაკრეფასა და ლიფაანალს შორის, რომელიც მისი თქმით, მიცვალებულის კულტთან და ბუნების აღორძინებასთან დაკავშირებული დღესასწაული იყო და `ოჯახის კეთილდღეობის, მიწის ბარაქიანობის დაბევებას ისახავდა მიზნად~ (გიორგაძე, 1987:64-65). ჩვენი აზრით, მზგავსად ლიფაანალისა, რომელსაც ხალხი *ადგომს* ანუ *აღდგომას* უწოდებდა, რადგან მათი რწმენით ამ დღეს მიცვალებულები აღდგომის მსგავსად საფლავებიდან დგებოდნენ და თავიანთ სახლებში მიდიოდნენ სტუმრად, თუშურ ერუმსალეთობაზეც ხალხს ზუსტად ასეთივე რწმენა უნდა ჰქონოდა. იერუსალიმში აღმდგარი მიცვალებულები თუშეთისკენ მიმავალ გზას სამ დღეს ანდომებდნენ და სულთაკრეფის დღეს, რაც, როგორც დღესაწაულის სახელწოდებიდანაც კარგად ჩანს, იკრიბებოდნენ მშობლიურ ოჯახებში თუ თემში.

კვლევამ აჩვენა, რომ *იერუმსალეთობა-სულთაკრება*, მიცვალებულებისათვის განკუთვნილი სამი დღისაგან შემდგარი ერთი დღესასწაულია (ღამბაშიძე, 2010:95).

ხალხური რწმენა-წარმოდგენების მიხედვით, სპეციალური რიტუალური პურის და რიტუალის გზით, ანუ ღმერთის შემწეობით, ამ დღეს, *ერუმსალეთობას,* ცოცხლები მიცვალებულებს მისტიურად უღებდნენ საიქიოს კარს და ლოცულობდნენ, რათა უსაფრთხოდ მიეღწიათ თავიანთ მიწიერ სახლამდე და სულთაკრეფის დღეს ცოცხლებთან ერთად ერთ ჭერქვეშ შეკრებილიყვნენ (მაკალათია, 1983:187).

ხსენებული ორივე დღესასწაული თავიანთი ქრისტიანული ფენით აღდგომის დღესასწაულს და მის არსს უკავშირდება.

რატომ იყო საიქიო თუშებისთვის იერუსალიმში? ვფიქრობთ, ამგვარი შეხედულება ქრისტეს საფლავს და მის მკვდრეთით აღდგომას უნდა უკავშირდებოდეს; სახარებაში გადმოცემულ იმ ამბავს, როდესაც იესო ქრისტემ ლოდი გადააგორა და მკვდრეთით აღდგა. იმას, რომ ჯვარცმის შემდეგ მაცხოვარმა ჯოჯოხეთში ჩასვლით მისი კარი შემუსრა და მიცვალებულთაA სულები გამოიხსნა, გამოუშვა, გაანთავისუფლა. იმას, რასაც ფაქტობრივად დიდ შაბათს იერუსალიმში მაცხოვრის საფლავზე გადმოსული ღვთაებრივი ცეცხლის სასწაული გვახსენებს. ამას გარდა, იერუსალიმში იესო ქრისტეს გვერდით დაკრძალული მიცვალებულები ერთიან, იმქვეყნიურ სასუფეველს ქმიან, სადაც მარადიულად ეძლევათ უფლის მადლი. ძნელია არ გავიხსენოთ ელიადეს მიერ მოხმობილი წმ. ამბროსი მედიონლანელის ისტორია, როდესაც მან საკუთარი ძმა წმინდანის გვერდით დაკრძალა იმ იმედით, რომ წმინდანი მას საფლავში საკუთარ სისხლს მარადიულად ასხურებდა (Eliade, 1977: 18-19). *ერუმსალეთობის* მესამე დღეს, ანუ დიდმარხვის მეორე შაბათს კი, ხალხის რწმენით, საიქიოდან აღმდგარი სულები სამი დღის `მგზავრობის~ თუ `*პილიგრიმობის~*[2] (Terner,1977: 24) შემდეგ საკუთარ სახლებში იკრიბებოდნენ, რათა სადღესასწაულო ანუ სასწაულის დღის რიტუალში, როდესაც საიქიოს და სააქაოს `კარები~ ღია იყო, ყველას ერთად მიეღო მონაწილეობა; რიტუალის გზით დაემარცხებინათ სიკვდილი და მარადიული სიცოცხლე განეცადათ.

ცოცხალთა სწრაფვას ეურთიერთათ მიცვალებულებთან და მეტად მიახლოვებოდნენ და შეეგრძნოთ ეს კავშირები, ღრმად ფსიქოლოგიური მნიშვნელობა და საფუძვლებიც აქვს. პირველ ყოვლისა უნდა ითქვას, რომ, როგორც ცნობილია, სიკვდილის შიში ერთ-ერთი ფუნდამენტური განცდაა ადამიანში. `ნამდვილად ილუზიაა იმაზე ფიქრი, თითქოს შიშის გარეშე ცხოვრება შეგვეძლოს. შიში ხომ ჩვენი არსებობის ნაწილია და სიკვდილის გარდაუვალობასთან დაკავშირებულ ფიქრებს აირეკლავს~ – წერდა ფრიც რიმანი (რიმანი, 2014:13). ჯოზეფ რეინგოლდის თქმით, სიკვდილის შიში შეიცავს შიშს არარსებობის და განსაკუთრებით განადგურების წინაშე. სწორედ ეს უკანასკნელი იწვევს შფოთს ადამიანში. ზიგმუნდ ფროიდი აღნიშნავდა, რომ ადამიანს საკუთარი სიკვდილის წარმოდგენა არ შეუძლია. ადამიანისთვის ეს იმდენად შეუძლებელია, რომ ფსიქოანალიტიკოსების თქმით, არაცნობიერში ყველა საკუთარ უკვდავებაშია დარწმუნებული (Freud, 1957:286). ალბათ ამიტომაა, რომ სიკვდილზე არ ფიქრობენ, არამედ ხატოვნად წარმოიდგენენ და შეიგრძნობენ მას. სიკვდილს ინდივიდისთვის სწორედ ხატები და ემოციები ანიჭებენ საზრისს. გააზრება იმისა, რომ ადამიანი მოკვდავია მტანჯველია არა მარტო იმიტომ, რომ თავად ელის სიკვდილი, არამედ, მაშინაც, როდესაც კარგავს ძვირფას ადამიანებს ანდა, იღუპება თუნდაც უცნობი. ადამიანს არ ძალუძს შეეგუოს სიკვდილს, რადგან სურს საყვარელი ადამიანი უკვდავი იყოს. სიკვდილს არ ძალუძს შეარყიოს სიყვარულის რწმენა. რეინგოლდს ბერდიაევის სიტყვები მოჰყავს, სადაც იგი აღნიშნავს, რომ ადამიანს მწველი სურვილი აქვს ყველას დაუბრუნოს სიცოცხლე, ვინც უყვარდა. განშორების სიმძიმე სიკვდილს კატასტროფად აღაქმევინებს ადამიანს, რასაც იმქვეყნად საყვარელ ადამიანებთან შეხვედრის იმედი ამსუბუქებს. ისინი, ვინც თვლიან, რომ აწმყოს მიღმა სიცოცხლე გრძელდება უფრო კეთილგონიერები,

[2] ვიქტორ ტერნერისთვის მომლოცველობა სიმბოლურად „კვდომას“ ნიშნავს, მომლოცველები კი არიან ისინი, ვინც „მიცვალებულის“ მდგომარეობაშია.

მგრძნობიარეები და მშვიდები არიან, წერდა იუნგი. იგი დასძენდა, იმთავითვე შეიძლება ითქვას, რომ ის მითები და სიზმრები, რომლებიც იმქვეყნიურ სიცოცხლეზე საუბრობენ, ჩვენი ბუნების შემადგენელი, თანდაყოლილი კომპენსატორული ფანტაზიებია. ადამიანის მთელი სიცოცხლე უკდავებას ნატრობს. იმავდროულად იუნგი მიიჩნევდა, რომ სულ მცირე, ფსიქიკის ერთი ნაწილი მაინც არ ექვემდებარება დროისა და სივრცის კანონებს (Jung, On Life After Death, https://www.holybooks.com/on-life-after-death-by-c-g-jung/, retrived 6.04.2020).

სიკვდილის შიშსა და სიკვდილის მნიშვნელობას ადამიანისთვის მრავალი მხარე და წახნაგი აქვს. წინამდებარე სტატიაში საკვლევი საკითხიდან გამომდინარე, ჩვენ რელიგიურ ასპექტს შევეხეებით, მანამ კი გვინდა აღვნიშნოთ, რომ რეინგოლდის თქმით, ერთადერთი ნუგეში იმისა, რომ სიცოცხლე დროში დასაზღვრულია, არის რწმენა იმისა, რომ სიკვდილი არ ნიშნავს გაქრობას, არამედ, დასაბამია ახალი არსებობის. ისეთის, რომლის დროსაც კვლავ რჩება განცდა, რომ ხარ პიროვნება. `მართალია ღვთის რწმენა და უანგარო სიყვარული, ბუნების კანონების ცოდნა, ცხოვრების ასკეტური წესი და მისი ფილოსოფიური გააზრება ვერ სპობს შიშს, მაგრამ მის დაძლევაში გვეხმარება და, შესაძლოა, ხელსაც კი გვიწყობს მის გამოყენებაში ჩვენ სასარგებლოდ~ – აღნიშნავს რიმანი და იქვე დასძენს, `ჩვენ...ის ღაAდაგვრჩენია, ვებრძოლოთ მას (შიშს-ნ.ღ.) და საკუთარ თავში ისეთ საპირისპირო ძალებს მოვუხმოთ, როგორიცაა სიმამაცე, ნდობა, ამტანობა, იმედი, მორჩილება, რწმენა და სიყვარული.~ (რიმანი, 2014:13) თუმცა, რეინგოლდი იმასაც აღნიშნავს, რომ რელიგიამ, მაგ., ქრისტიანობამ, გააძლიერა სიკვდილის შიში და შესაძლოა, ფაქტობრივად, გააჩინა კიდევაც შიში იმქვეყნიური ცხოვრების. ზოგის თქმით (Hall, 1896), რელიგია უქარწყლებს ადამიანს სიკვდილის შიშს, მაგრამ უფრო ხშირად უღვივებს. ზოგიც ფიქრობს, რომ (Keller, 1942) სიკვდილის შიში ბუნებითი კი არ არის არამედ, იგი გარკვეული სახის რელიგიამ გააჩინა.

რეინგოლდი აღნიშნავს, რომ სხვადასხვა კულტურა შეიძლება დახასიათდეს, როგორც კულტურა, რომელიც იგნორირებას უკეთებს სიკვდილს, რომელიც იღებს მას ან უარჰყოფს. სიკვდილისადმი დამოკიდებულებას, განწყობას საზოგადოებას ტრადიციულად რელიგია კარნახობდა. მაგრამ მრავალი მიზეზის გამო (ტექნოლოგიების განვითარება, მსოფლიო ომები...) თანამედროვე საზოგადოება ათეისტი გახდა. ამქვეყნიურ ცხოვრებაზე ორიენტირებული ადამიანისთვის სიკვდილის თემა ტაბუდ გადაიქცა. თემად, რომელსაც ან უნდა გაექცე, ანდა დამალო. დღეს სიკვდილს მოკრძალებული შიშით ექცევიან. ფულტონის (Fulton and Geis, 1962) აზრით, ამგვარი მდგომარეობა კულტურაში მომხდარმა ცვლილებებმა გამოიწვია. რეინგოლდი აღნიშნავს, რომ ტილიჩის (Tilich, 1952) აზრით აფსოლუტიზმის ნგრევამ, ლიბერალიზმისა და დემოკრატიის განვითარებამ, ტექნიკურმა ცივილიზაციამ განაპირობა შფოთი. ის, რაც ცალკეული ინდივიდისთვის იყო და არის დამახასიათებელი, გახდა საყოველთაო. ეს პროცესი მაშინ ჩნდება საზოგადოებაში, როდესაც მმართველობისა და სარწმუნოების ჩვეული სტრუქტურები ინგრევა. როდესაც ამგვარი სტრუქტურები საზგადოებაში არსებობს, ინდივიდს შეუძლია კარგად გამოცდილი მექანიზმების მოშველიებით მართოს შფოთი. როდესაც საზოგადოებაში ძლიერი ცვლილებებია, ამგვარი მექანიზმები აღარ არსებობს (Реинголд, 2004). ჩვენი აზრით, ამგვარი ცვლილებები ხშირად უხეშად უსწორდება ხანგრძლივი დროის განმავლობაში შექმნილ სტრუქტურებს ან საგრძნობლად აზიანებს მათ, ისე, რომ ისინი ვეღარ თამაშობენ პოზიტიურ როლს კოლექტიური ფსიქიკური წონასწორობის შენარჩუნების საქმეში. სწორედ ამიტომაა, რომ ტრადიცია კი არ უნდა მოისპოს, არამედ საზოგდოების ახალ მოთხოვნილებებთან ერთად განვითარდეს თუ გადაიზარდოს რაღაც ახალში, იმაში, რაც საზოგადოებას სჭირდება. `...ჩვენ უნდა დავინახოთ, რომ ამ საუკუნეში რეგრესი ორჯერაც კი იყო, ეს ბოროტმა საკუთარი ძალით ორ მსოფლიო ომში მოიტანა, რაც სილის გაწნაა ჩვენი საუკუნისათვის, რომელსაც პროგრესის სჯერა. ამ გარემოებებიდან გამომდინარე, უფრო დაკვირვებით უნდა შევხედოთ პროგრესისადმი ჩვენს რწმენას. განა გვინდა დასრულდეს ყოველივე, თუ მსოფლიომ მუდამ სრულყოფისა და უკეთესობისაკენ სწრაფვა უნდა გააგრძელოს? ... პროგრესის რწმენა წარსულისადმი ჩვენ მოვალეობას უნდა შევუჯეროთ. ადამიანები უბრალოდ მომავლისათვის კი არ ცხოვრობენ, არამედ წარსულიდან მოდიან. კრიმინალური პერიოდის ცრუ `Blut und Boden~-ის

რომანტიზმმა არ უნდა გაგვაბრიყვოს იმით, თითქოს არ არსებობს ბუნებითი კავშირი სამშობლოსთან და წინაპრებთან, რაც გაცილებით მეტია, ვიდრე ნოსტალგია `ძველი ბედნიერი დღეებისა~. მაგალითისათვის უნდა შევწყვიტოთ სპეკულატიური განვითარების გზით ევროპული სოფლის განადგურება და ახალგაზრდობას უნდა ვასწავლოთ ისტორიული ტრადიცია. პროგრესი დანაკარგების ფასად ნამდვილად უკან გადადგმული ნაბიჯი იქნება (Fierz, 1991: 393-394) – წერს კარლ ჰაინრიჰ ფირცი.

სიკვდილი არცერთ კულტურაში არ გაიაზრება, როგორც წყალობა. იგი გარკვეული უარყოფითი არსების თუ მოვლენის შედეგად გაჩენილი ფენომენია. თუმცა, სიკვდილი ახალ, სულიერს თუ სულისმიერ მდგომარეობას ანიჭებს ადამიანს და ახალ განზომილებაში ათავსებს მას. სიკვდილი მეორედ დაბადებაა. თუმცა, პირველისგან განსხვავებით, მეორე დაბადება რიტუალის გზით უნდა განხორციელდეს. რიტუალის გზით გარდაცვლილს ახალი იდენტობა უნდა შეექმნას. მის სხეულს კი, ასევე რიტუალის გზით იმგვარად უნდა მოექცნენ, რომ მან მაგიური საშუალებებით ვერ შეძლოს ცოცხლებზე უარყოფითი ზეგავლენის მოხდენა. როგორც ელიადე აღნიშნავს, მას მერე, რაც სიკვდილი ინტერპრეტირებული იყო, როგორც გადასვლა ერთი მდგომარეობიდან მეორეში, იგი ადამიანის ცხოვრების ყველა მნიშვნელოვანი ცვლილების პარადიგმული მოდელი ხდება. მაგრამ, ვინაიდან მოკვდავი სიკვდილის შემდგ მეორედ იბადება და ამჯერად სული ხდება, ეს პროცესი, ეს სულიერი ტრანსფორმაცია დაბადებასთან, კვლავდაბადებასთან, მკვდრეთით აღდგომასთან დაკავშირებული სიმბოლოებით და ხატებით გადმოიცემა. მაგრამ, ელიადეს თქმით, მთელ ამ რიტუალებში აშკარად მჟღავნდება გაცოცხლებული სხეულისა და ინკარნირებული სიცოცხლისადმი სიყვარული. როგორც ელიადე აღნიშნავს, ვერ ჩავწვდებით სიკვდილის არსს თუ ის არსებობის რომელიმე ახალ ფორმასთან არაა კავშირში (Eliade, 1977: 15,16,18, 20).

„მართალია მიღმიერი ცხოვრების და სულის უკვდავების უტყუარი საბუთი არ არსებობს, მაგრამ არსებობს იმგვარი გამოცდილებები, რომლებიც გვაფიქრებს მოცემულ საკითხზე. ჩემთვის ისინი მინიშნებებია. მეორე მხრივ, სიკვდილი სასიხარულო მოვლენაა. "მარადისობის შუქზე ის ქორწილია, მისტერიუმ კონიუნგციო. სული მის მეორე დაკარგულ ნაწილს იძენს და ხდება მთლიანი" - წერდა იუნგი (Jung, https://www.holybooks.com/on-life-after-death-by-c-g-jung/, retrieved 6.04.2020).

დაბადება-კვდომა-კვლავგანახლების ძლიერი ინსტიტნქტი თუ მუხტი დაუოკებლად უბიძგებდა ადამიანს მარადიული სიცოცხლისათვის გაეერთიანებინა სიკვდილ-სიცოცხლე და სიკვდილშიც სიყვარულით განპირობებული სიცოცხე ეძებნა. `პილიგრიმობის~ დღესასწაულებით, ღმერთის, ტრანსცენდენტული ძალების მოხმობით, მითოსური ხატების მეშვეობით ადამიანი ცდილობდა გაეხსნა კარები და გადაულახავი, გამყოფი ზღურბლის ნაცვლად მარადიული სიცოცხლის ერთიანი სივრცე შეექმნა. ჩემი აზრით, შეექმნა ის მესამე, რომელიც იუნგისეული დაპირისპირებულთა ერთიანობის შედეგად იქმნება.

ამ საღამოს ცხოვრებაში პირველად, მე ვიყავი ტაძრიდან მომპატიჟებელი. ცოტას თოვს, უფროსებისგან გვსმენია ამ დღეს ცოტას აუცილებლად ითოვებსო, რადგან ჩვენი დიდებულები დასვრილ გზაზე არ გაივლიანო. ისეთი ჯადოსნური იყო, როცა უფალს სთხოვეს ჩემმა ნათესავმა კაცებმა, მადონას გააყოლე იმ ქვეყნად წასული დიდებული სულებიო. მერე სანთელ ანთებული გამოვუდექი სახლისკენ გზას და წარმოვიდგინე მართლა მომყვებოდნენ. მერე გახსენდება რომ უნდა ესაუბრო, ცოტა ძნელია, მაგრამ ვეცადე. რამხელა რწმენა ჰქონდათ ჩვენს წინაპრებს, ყოველგვარი ეჭვის გარეშე სჯეროდათ რომ მართლა მოდიოდნენ. "მეც მჯერა" – წერდა ეთნოლოგი მადონა ჩამგელიანი.[3]

[3] ეთნოლოგ მადონა ჩამგელიანის ნაამბობი, არასამთავრობო ორგანიზაცია "ლიდბაშის" ხელმძღვანელი, 2018 წლის ლიფაანალი, სოფ. ლახუჟდი.

გამოყენებული ლიტერტურა:

bardavelidze, v. (1953). *kartuli (svanuri) grapik'uli khelovnebis nimushebi.* tbilisi: sakartvelos ssr metsnierebata ak'ademiis gamomtsemloba. (ბარდაველიძე, ვ. (1953). *ქართული (სვანური) გრაფიკული ხელოვნების ნიმუშები.* თბილისი: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა.

boch'oridze, b. (1993). *tusheti.* tbilisi:"metsniereba" (ბოჭორიძე, გ. (1993). *თუშეთი.* თბილისი: „მეცნიერება").

ghambashidze, n. (2010). "erumsaletoba"- mitsvalebulta mosakhsenebeli dghe tushetshi. zhur. religia. # 1 (ღამბაშიძე, ნ. (2010). "ერუმსალეთობა"- მიცვალებულთა მოსახსენებელი დღე თუშეთში. ჟურ. *რელიგია.* # 1).

ghambashidze, n. (2011). kartul khalkhur da saek'lesio dgheobata k'alendari. tbilisi:k'rialosani. (ღამბაშიძე, ნ. (2011). *ქართულ ხალხურ და საეკლესიო დღეობათა კალენდარი.* თბილისი:კრიალოსანი).

giorgadze, d. (1987). *dak'rdzalvisa da glovis ts'esebi sakartveloshi.* tbilisi:"metsniereba" (გიორგაძე, დ. (1987). *დაკრძალვისა და გლოვის წესები საქართველოში.* თბილისი:"მეცნიერება").

makalatia, s. (1983). *tusheti.* tbilisi: "nakaduli" (მაკალათია, ს. (1983). *თუშეთი.* თბილისი: „ნაკადული").

rimani, p. (2014). *shishis dziritadi pormebi.* tbilisi: ts'igni+eri. (რიმანი, ფ. (2014). *შიშის ძირითადი ფორმები.* თბილისი: წიგნი+ერი).

tsotsanidze, g. (1987). *giorgobidan giorgobamde.* tbilisi: sabch'ota sakartvelo (ცოცანიძე, გ. (1987). *გიორგობიდან გიორგობამდე.* თბილისი: „საბჭოთ საქართველო").

Бардавелидзе, В. (2007). *Древнейшие религиозные верования и обрядовое графическое исскуство грузинских плем¸н.* Тбилиси: Caucasian House.

Реинголд, Д. (2004). *Мать, тревога и смерть. Комплекс трагической смерти.* Москва: Per Se.

Eliade, M. (1977). *Mythologies of Death: An Introduction.* In F. E. Reynolds and E. H. Waugh (eds.). Insights in Religious Encounters with Death. From the History and Anthropology of Religion. London: The Pennsylvania State University.

Feud, S. (1957). *Thoughts for the Times on War and Death (1915).* http://www.columbia.edu/cu/arts/vad/critical_issues_on_art/thoughts_war_and_death.pdf?fbclid=IwAR05CC8wA63QwgylHl4BrVt8Z-XmTf8Ly_1wVuvqliEX2I7KC7PttcM9eWw, retrieved in 3.04.2020.

Fierz, H. K. (1991). *Analytical Psychology and Society: the Lost Symbol, or an Inquiry in to the Nature of Mass Psychology.* In Jungian Psychiatry. Einsiedeln: Daimon Verlag.

Fulton, R. and Geis, G. (1962). *Death and social values.* Indian J. Soc. Res. *3:7;* reprinted in Fulton, R. *(Ed.)* (*1965).* Introduction to Part 1*: Theoretical Discussions on Death.* In, Death and Identity. New York: Wiley.

Jung, C.G. *On Life After Death.* https://www.holybooks.com/on-life-after-death-by-c-g-jung/, retrieved 6.04.2020.

Hall, G. S. (1896). *A study of fears.* American Journal of Psychology. # *8.*

Keller, A. G. (1942). *Net Impressions.* New Haven, Conn.: Yale University Press.

Terner, V. (1977). *Death and the Dead in the Pilgrimage Process.* in Religious Encounters with Death. In F. E. Reynolds and E. H. Waugh (eds.). Insights, in Religious Encounters with Death. from the History and Anthropology of Religion. London: The Pennsylvania State University.

Tillich, P. (1952). *The Courage to Be.* New Haven, Conn.: Yale University Press.

https://www.youtube.com/watch?v=x6teHhJtd8I, retrieved in 09.01.2018.